ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 37
26/07/2019

37-08-4-201907261731

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე კულტურის სახლის შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე კულტურის სახლის შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე;

2. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარის ოდენობით;

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 10 წლით;

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა